

შპს „777“ (ს/კ 430032378)

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ამონაგები	8
4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9
10. ძირითადი საშუალებები	10
11. არამატერიალური აქტივები	10
12. სავაჭრო ვალდებულებები	11
13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11
14. საკუთარი კაპიტალი	11
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	11

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს 777

საიდენტიფიკაციო კოდი: 430032378

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	3	4,202,746	3,637,086
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(2,717,039)	(2,398,895)
საერთო მოგება		1,485,707	1,238,191
შრომის ანაზღაურება		(219,425)	(155,745)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(60,826)	(44,361)
ცვეთის ხარჯი		(5,865)	(5,954)
იჯარის ხარჯი		(200,191)	(192,149)
საოპერაციო მოგება		999,400	839,982

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	6	1,554	(14,950)
მოგება დაბეგვრამდე		1,000,954	825,032

მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		1,000,954	825,032

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,000,954	825,032

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		5,033,931	4,209,532
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(495,356)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(50,721)	(633)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		5,488,808	5,033,931

დირექტორი:

არჩილ კაპანაძე (პ/ნ 18001005281)

ხელმოწერა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს 777

საიდენტიფიკაციო კოდი: 430032378

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე აქტივები		5,633,435	5,194,619	4,305,411
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	878,757	734,231	416,622
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	221,763	257,008	225,834
გაცემული ავანსები		458,529	1,133,506	858,530
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	4,074,386	3,069,874	2,787,936
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	16,489
გრძელვადიანი აქტივები		24,201	28,837	14,291
ძირითადი საშუალებები	11	23,919	28,254	13,722
არამატერიალური აქტივები	12	282	583	569
სულ აქტივები		5,657,636	5,223,456	4,319,702
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე ვალდებულებები		168,828	189,525	110,170
სავაჭრო ვალდებულებები	13	103,157	96,866	80,110
საგადასახადო ვალდებულებები		36,120	27,843	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	29,551	64,816	30,060
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი		5,488,808	5,033,931	4,209,532
საწესდებო კაპიტალი	15	7	7	7
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	15	5,488,801	5,033,924	4,209,525
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,657,636	5,223,456	4,319,702

დირექტორი:

არჩილ კაპანაძე (პ/ნ 18001005281)

ხელმოწერა:

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „777“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, საქართველო, ქ. ზესტაფონი, მაღლაკელიძის ქ., №7, ბ. 113, კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო და საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით. კომპანიის წილების გადანაწილებაში დაარსების თარიღიდან ცვლილება არ განხორციელებულა. როგორც, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერიდან ჩანს, არჩილ კაპანაძე - 18001005281 - არის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას

წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად კომპანია აღიარებს ისეთ მატერიალურ აქტივს, რომელიც იმყოფება კომპანიის საკუთრებაში, უშუალოდ გამოიყენება საქონლის წარმოებაში ან/და საქონლის/მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო წელზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა. თვითღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და ყველა დაუბრუნებელ გადასახადებს, ასევე ყველა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთით დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპრო-ცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად

საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებულ-ლი აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემო-სულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების მუხლში შედის ფულადი სახსრები კომპანიის სალაროში, ფულადი სახსრები განთავსებული ორგანიზაციის მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების რეალიზაციიდან	4,202,746	3,637,086
	4,202,746	3,637,086

4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გაყიდული/შეძენილი საქონელი	(2,717,039)	(2,398,895)
	(2,717,039)	(2,398,895)

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(22,431)	(21,956)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,464)	(1,449)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(3,330)	(2,903)
სხვა ხარჯები	(33,601)	(18,053)
	(60,826)	(44,361)

დირექტორი:

არჩილ კაპანაძე (პ/ნ 18001005281)

ხელმოწერა:



6.

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	1,331	2,880
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(9,412)	(6,552)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	22,877	15,159
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(13,242)	(26,437)
	1,554	(14,950)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	471,349	368,708
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	234,667	150,917
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	93,501	131,273
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	79,240	83,333
	878,757	734,231

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო დებიტორები	221,763	257,008
	221,763	257,008


9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
საქონელი	4,053,653	3,058,628
ნედლეული და მასალები	18,781	11,221
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,952	24
	4,074,386	3,069,874

დირექტორი:

არჩილ კაპანაძე (პ/ნ 18001005281)

ხელმოწერა:



10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები (ლარი)	
თვითღირებულება	45,389
1 იანვარი, 2024 წელი	900
შემოსავლა	0
გასვლა	46,289
31 დეკემბერი, 2024 წელი	
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	17,414
1 იანვარი, 2024 წელი	4,956
წლიური ცვეთა	0
გაუფასურება	0
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	22,370
31 დეკემბერი, 2024 წელი	
საბალანსო ღირებულება	23,919
31.12.2024	

11. არამატერიალური აქტივები


კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებისაგან.

არამატერიალური აქტივები (ლარი)	
თვითღირებულება	1,763
1 იანვარი, 2024 წელი	0
შემოსავლა	0
გასვლა	1,763
31 დეკემბერი, 2024 წელი	
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	571
1 იანვარი, 2024 წელი	909
წლიური ცვეთა	0
გაუფასურება	0
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	1,480
31 დეკემბერი, 2024 წელი	
საბალანსო ღირებულება	282
31.12.2024	

დირექტორი:

არჩილ კაპანაძე (პ/ნ 18001005281)

ხელმოწერა:



12. სავაჭრო ვალდებულებები

	2024	2023
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტ საწარმოებზე	27,308	21,019
კრედიტორული დავალიანება არარეზიდენტ საწარმოებზე	75,849	75,847
	103,157	96,866

13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21,370	17,000
მიღებული ავანსები	-	31,273
სოციალური გადასახადები	8,181	16,543
	29,551	64,816

14. საკუთარი კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 5,488,808 ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალის 7 ლარი და გაუნაწილებელი მოგების 5,488,801 ლარისგან.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორის უფლებამოსილმა პირმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 22/09/2025.

დირექტორი:

არჩილ კაპანაძე (პ/ნ 18001005281)

ხელმოწერა: